პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ხუთშაბათი, 21 აპრილი, 1949 წ. № 78 (8381). ფასი 20 კაპ.

მჭიდრო ერთიანობისა და დარაზმულობის ნიშნით

ბუშინ მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ. ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ — უმაღლესმა საბჭომ — მიიღო კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე გადაწყვეტილებანი საქართველოსა სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებული სესიათა შორის განვლილ პერიოდში.

საქართველოს 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც უმაღლესმა საბჭომ მიიღო, სავსებით შეესაბამება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის ჩვენი რესპუბლიკის წინაშე მდგომ ამოცანებს.

სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს რესპუბლიკის ფინანსურ გეგმას მთელი წლისათვის. ბიუჯეტის საშუალებით ითავრობა თავს ეყრის უდიდეს სახსრებს, უზრუნველყოფს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კულტურულ და სოციალურ ღონისძიებათა დაფინანსებას. ბიუჯეტი მძლავრი საშუალებაა სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებისათვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის განხორციელებისა.

ჩვენი რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა მეოთხე სტალინური ხუთწლედის მეოთხე გადაწყვეტილ წლის საფინანსო პროგრამად უწოდეს. ეს მართლაც ასეა. ბიუჯეტი უზრუნველყოფს საქართველოს სახალხო მეურნეობის მთელიან და დროულ დაფინანსებას იმ ანგარიშით, რომ ყველა დარაზმი ხუთწლედის ძირითადი დავალებანი ვადამდე და გადაჭარბებით შესრულდეს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობა შემოსავლის ნაწილში შეადგენს 2 მილიარდ 500 მილიონ 45 ათას მანეთის და გასავლის ნაწილში—2 მილიარდ 494 მილიონ 837 ათას მანეთს. მიმდინარე წლის ბიუჯეტი გასული წლის ბიუჯეტთან შედარებით გადიდებულია შემოსავლის ნაწილში 160 მილიონ 84 ათასი მანეთით და გასავლის ნაწილში—154 მილიონ 775 ათასი მანეთით.

აღნიშნული ციფრები მთელი სიღიადით და ნათლად ცხადყოფენ საბჭოთა სოციალისტური საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განუწყვეტელ აღმავლობას, ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის დაუღალავ მზრუნველობას ქართველი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდისათვის.

ჩვენი ბიუჯეტის სახსრები მიმართულია რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებისაკენ, მშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლებისაკენ, საბჭოთა სახელმწიფოს ძალებისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ. უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე დაიხარჯება 671 მილიონ 293 ათასი მანეთი, ანუ 63 მილიონ 150 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დაიხარჯება 1 მილიარდ 636 მილიონ 424 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს და დამტკიცეს საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. ასევე სიხარულითა და უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდებიან საქართველოს მშრომელთა ფართო მასები რესპუბლიკის ახალ ბიუჯეტს, რომლის წარმატებით შესრულება უზრუნველყოფა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

რესპუბლიკა ახალი ბიუჯეტი დამტკიცებულია. ახლა ამოცანა ის არის, რომ დავრაზმოთ მთელი ძალები ბიუჯეტია საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შეასრულებისათვის, სამეურნეო და საფინანსო მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტია შემოსავლის ზრდია აუფუძველა ახალხო მეურნეობა ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა წარმოადგენს. აიატომ, კვლავ მთელი სერიოზულობით დგება ჩვენი სამეურნეო მუშაკების წინაშე ამოცანა: ზრდის ნაყოფიერების გადიდებით, თვითღირებულების შემცირებით და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, სპარუნავ საშუალებათა ბრეზვის დაჩქარებით და საწარმოთა რენტაბელობის ამაღლებით უზრუნველყონ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებანი კეთილსინდისიერად მეარულება.

ზარშნ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავარა სამეურნეო წელი და აამშობლოა ძრაალი მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგრავება მიაცა. მაგრამ ზოგიერთი დარგები ჩამორჩნენ ცალკე სახლობის გეგმათა შესრულებაში. მაგალითად, დეპუტატები მიერ გაკოტიკეგულ იქნა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის, კინემატოგრაფიის სამინისტროების, აგრეთვე სარეწოო და ინვალიდთა კოოპერაციის საქმიანობა, რომელთა საწარმოებმა გასულ წელს ვერ შეასრულეს დაგრავების გეგმები, სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლეს მილიონნობით მანეთი. სეესიაზე აღინიშნა, რომ ამ სამინისტროებს და ზოგიერთი სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს მთელმა რიგმა საწარმოებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს ინიციატივის გამოჩენა სახსრების რეზერვების გამოვლენებასა და გამოყენებაში, ჯერაც ვერ აღმოფხვრეს დანაკარგები, წუნი, მაღალი ზედნადები და უნაყოფო ხარჯები, რაც ხელს უშლის საწარმოთა რენტაბელობის გადიდებას.

მინისტრებმა, სამინისტროებისა და მათი დაგალობრივი ორგანოების მოსაკებმა უნდა გაითვალიაწინონ დეპუტატთა კრიტიკული შენიშვნები და ძალიონ გადამჭრელი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ აღმოსაფხვრელად. იმისათვის, რომ წარმატებით იქნას შეასრულებული ჩვენი რესპუბლიკის 1949 წლის ბიუჯეტი, იაინი მოვალენი არიან თავიანთი მუშაობა აამაღლონ ახალ მოთხოვნილებათა დონემდე. ამ საქმეში მთა ქმედითი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, რომლებიც მოგალენი არიან ყოველდღიურად იყვნენ დაინტერესებულნი ბიუჯეტის შეასრულების მიმდინარეობით და მთელი პასუხისმგებლობით ხელმძღვანელობდნენ ამ საქმეს.

საქართველოს მშრომელები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით თავდადებულად იბრძვიან ომისშემდგომი ხუთწლედის ვადაზე ადრე შესრულებისათვის. ისინი ძალონნის დაუზოგავად იბრძოლებენ რესპუბლიკის 1949 წლის ბიუჯეტის მთლიანად შესრულებისათვისაც, რითაც კვლავ ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, თავიანთ მზადყოფნას — წარმატებით შეასრულონ დ. ი. სტალინის ყველა დავალება.

გაიხსნა პროფკავშირთა X ყრილობა

19 აპრილს, მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, საღამოს 5 საათზე, გაიხსნა სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა X ყრილობა.

ყრილობას ესწრება 1.343 დელეგატი. მათ შორის არიან ქარხნებისა და ფაბრიკების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ცნობილი სტახანოველები, სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა კავშირის გმირები, მინისტრები, გამოჩენილი მეცნიერი მოღვაწეები, განათლების, ხელოვნების მუშაკები.

ყრილობას ესწრებიან მრავალრიცხოვანი სტუმრები და უცხოეთის პროფკავშირთა დელეგატები.

ყრილობა გახსნა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. კუზნეცოვმა.

დელეგატები და სტუმრები მჭეხარე ტაშით შეხვდნენ ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს არჩევის წინადადებას. პირველს ასახელებენ შობილიერ ი. ბ. სტალინს. დარბაზში გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის „ე-შა“ ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. შემდეგ ასახელებენ ამხანაგ სტალინის საუკეთესო თანამებრძოლებს. დარბაზში დიდხანს გაისმის მქუხარე ტაში.

ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვს წინადადება შეაქვს ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ ირჩიონ დიდი სტალინი. ამ წინადადებას დარბაზი ახალი ოვაციით ხვდება. კვლავ გაისმის მძლავრი „ვაშა“ და შეძახილები „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“

ამტკიცებენ ყრილობის მუშაობის შემდეგ დღის წესრიგს:

1. პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებები.

2. პროფესიულ კავშირთა წესდების შესახებ.

3. პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

შემდეგ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოსენები გაკეთა ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

(საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქციული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა

(1949-1951 წლები)

III

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში საკვებთა დამზადების და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის შესახებ

32. აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძალიან სუსტად ინერგება ბალახთა აღების და საკვებთა დასილოსება მექანიზაცია, აგრეთვე ფერმების შრომატევადი პროცესების — წყლის მიწოდების, ფერმის შინატრანსპორტის, საკვებთა მომზადების, ძროხია წველის, ცხვრის პარსვაია და პირუტყვის მოვლის სამუშაოთა მექანიზაცია. მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციაია და საკვებთა მოპოვებისათვის მრეწველობა მიერ მოწყობილია და მანქანების წარმოება მკვეთრად ჩამორჩება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილებას. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საჭირო დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობებსა საკვებთა წარმოებისა და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის საქმეში.

33. დაეკალოს ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობანი აქვთ, უახლოესი სამი წლის განმავლობაში უზრუველყონ კოლმეურნეობებში და პირველ რიგში საბჭოთა მეურნეობებში ბალახთა აღების, სილოსის ჩადების, ძროხეების თესვისა და მოსავლის აღების, რძის გადამუშავების სრული მექანიზაცია, აგრეთვე ფართოდ დანერგონ ფერმებში წყლის მიწოდების, აყვავთა მომზადების, ფერმების პირუტყვია მოვლის სამუშაოთა და ტრანსპორტის მექანიზაცია, აგრეთვე დანერგონ ძროხის ელექტრომექანიკური წველა და ცხვრის ელექტროპარსვა.

34. დაეკალოს სსრ კავშირის სოფლია მეურნეობის სამინისტროს მტა-ების ძალვით უზრუნველყოს საკვებთა დამზადება და მდელოებისა და სამოვრების გაუმჯობესება შემდეგი ოდენობით:

	1949 წელს	1950 წელს	1951 წელს
ტრაქტორით თიბვა (მილიონ ჰექტარობით)	2,8	10	15
სილოსის ჩადება (მილიონ ტონობით)	3,5	10	15
მდელოებისა და სამოვრების ამოშრობა (ათას ჰექტარობით)	160	340	530
მდელოებისა და სამოვრების ამოძირკვა და გაწმენდა (ათას ჰექტარობით)	256	541	817

35. შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია საკოლეურნეო ეკონომიკებში უნდა განხორციელდეს შემდეგი გზით:

ა) მოეწყოს განვითარებული მეცხოველეობია რაიონებში სპეციალიზებული მტა-ები, რომელთაც დაკალოროთ თივის აღების, საკვებთა დასილოსების, სამოვრების წყლით უზრუნველყოფის და ცხვრის ელექტროპარსვის საქმეობა;

ბ) აღიჭურვოს არსებული მტა-ები თივის აღების, საკვებთა დასილოსების, საკვები ძირხვენების და სასილოსე კულტურების მოყვანის, მდელოებისა და სამოვრების ძირეული გაუმჯობესების სამუშაოთა და ცხვრის ელექტროპარსვის მოსაწყობი მანქანებით, ამასთან დაეკალოს მტა-ებს გაუწიონ ტექნიკური დახმარება კოლმეურნეობებს მანქანების და ენერგეტიკულ დანადგართა მონტაჟის საქმეში და ტექნიკური ზედამხედველობა მანქანების ექსპლოატაციისადმი;

გ) მომარაგდეს კოლმეურნეობანი ძროხის წველის, ცხვრის პარსვის, ავტომატური წყლის სასმელების, რძის გადამუშავებისა და საკვებთა მომზადების მექანიზაციისათვის საჭირო მანქანებით;

დ) აღიჭურვოს არსებული და ახალმოწყობილი სასაძოვრო-სამელიორაციო ტრეტები გადაარეკ სამოვრებზე ქვების სატრიალი მოწყობილობით.

36. დაწყდეს, რომ მტა-ებს სასოფლო-სამეურნეო ზონების მიხედვით უნდა ჰქონდეთ ტიპობრივი მოწყობილობა კოლმეურნეობებში თიბვია, დასილოსებისა და მდელოების სამელიორაციო სამუშაოთა შესასრულებლად. კოლმეურნეობა ზონასა და სასაძოვრო მეცხოველეობის რაიონებში განლაგებული მტა-ები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ, გარდა ამისა, ჭების მშენებლობისათვის საჭირო სახატრიალი მოწყობილობით.

37. დაეკალოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მიაწოდოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და სხვა სამინისტროებს, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობანი აქვთ, შემდეგი მანქანები თიბის აღებისა და საკვებთა დასილოსების მექანიზაციისათვის:

(ათას ცალობით)

	1949 წელს	1950 წელს	1951 წელს
ტრაქტორის სათიბი მანქანა	20	35	46
თვითმავალი სათიბი მანქანა	1	5	8
ლილეკაციანი სათიბი მანქანა	—	5	7
ტრაქტორის ფოცხი	3	11	16
ტრაქტორის ვვერდის ფოცხი	—	5	8
ასაკრეფ-დასაბულებელი მანქანა	—	1,5	1,5
პრესი-ამკრეფი მანქანა	—	1,5	1,5
ცალების დამტვირთავი მანქანა	—	1,5	1,5
ტრაქტორის კაბდო	3,5	7,0	10,0
საზეინავი მანქანა	—	7,0	10,0
სილოსსაჭრელი მანქანა	3	8,0	10,0
სასილოსე კომბაინი	—	1,0	1,0

ბ) საბჭოთა მეურნეობებისათვის და კოლმეურნეობებისათვის მისასყიდად:

ცხენის სათიბი მანქანა	80,5	120	160
ცხენის ფოცხი	103,5	120	140
ცხენის საზეინავი მანქანა	—	10	15
ჩალა-სილოსსაჭრელი მანქანა	13,6	20	25

დაეკალოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს (ეთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში საკვებთა მოპოვების და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის საჭირო მაღალხარისხოვანი სრულყოფილი მანქანების სიმძლავრეთა მატებისა და გამოშვების უზრუნველსაყოფად ამ დადგენილებით დაწესებული ოდენობით.

დაეკალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2 თვის ვადაში შეიმუშაოს და წარუდგინოს საკოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობია სამინისტროს საკვებთა მოპოვების მანქანათა აგროტექნიკური პირობები.

38. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის სამწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების განაკუთრებით დიდი მნიშვნელობის გამო, სსრ კავშირის სახმომარაგებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უმნიშვნელოვანეს ძოვალეობად ჩაითვალოს უზრუველყოფა სოფლის მეურნეობის ძომპოაგებისა მანქანებით, მოწყობილობითა და საშენი მასალით და უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მრეწველობისა კაპიტალდაბანდებით ინ ოდენობით, რაც საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის განვითარების დასაბული გეგმა შესასრულებლად და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების გასაადიდებლად.

დაეკალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1949 წლიდან აძლიოს კოლმეურნეობებს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სასოლქო აღმასკომებისა და სამხარეო აღმასკომების შუამდგომლობით კრედიტები მანქანების შესაძენად და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციასთან დაკავშირებული სხვა ხარჯებისათვის, ამ ხარჯების 100 პროცენტამდე ოდენობით 10 წლის ვადით. ამ კრედიტების გასტუმრებაც დაიწყება მესამე წლიდან.

IV

კოლმეურნეობებში პირუტყვის სადგომთა მშენებლობის შესახებ

39. არასწორად ჩაითვალოს, რომ კოლმეურნეობებში საჭირო მასშტაბით არ წარმოებს პირუტყვის სადგომთა მშენებლობა, ხოლო არსებულ ნაგებობებს დროზე არ არემონტებენ, რაც გამო პირუტყვი ბევრ კოლმეურნეობაში შეეტეროლად ჰყავთ არადამაკმაყოფილებელ პირობებში, რაც იწვევს პროდუქტიულობის შემცირებას, დაავადებას, ცალკე შემთხვევებში კი სულადობის, განსაკუთრებით მოზარდეულია დაბაკარგს. პირუტყვის ყოველწლიური ნამატი უზრუნველყოფილი არ არის სადგომით.

40. დაეკალოს რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს კოლმეურნეობათა ძალებით უზრუნველყონ კოლმეურნეობებში პირუტყვის სადგომთა აშენება შემდეგი ოდენობით:

1949 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის — 3,1 მილიონი სულის, ცხვრისათვის—5 მილიონი სულის და ღორისათვის — 2,2 მილიონი სულის ტევადობისა;

1950 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის თვის—5 მილიონი სულის, ცხვრისათვის—12 მილიონი სულისა და ღორისათვის—4 მილიონი სულის ტევადობისა;

1951 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის—5 მილიონი სულის, ცხვრისათვის—15 მილიონი სულისა და ღორისათვის—5,5 მილიონი სულის ტევადობისა.

41. პირუტყვის სადგომთა მშენებლობის ფართო მასშტაბით განსაზორციელებლად, საზოგადოებრივი პირუტყვის მთელი სულადობის სადგომების უზრუნველყოფის ამოცანების მიხედვით, რჩება მიეცეთ კოლმეურნეობებს, რომლებსაც ნამატი ადგილობრივი სიშენი მასალა (ადური, კრამიტი, კირი და სხვ.) აქვთ, თავისი საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ მიაყიდონ იგი სხვა კოლმეურნეობებს.

42. დაეკალოს სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს გამოუყოს კოლმეურნეობებს ტყესაკაფები სამსალო მერქნის დასამზადებლად, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაბმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ხე-ტყის დამზადებაში.

43. დაეკალოს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს 1950 წლიდან მოაწყოს ხის სტანდარტული ნაკეთობათა და დეტალების წარმოება ტყეო რაიონების კოლმეურნეობების პირუტყვის სადგომთა მშენებლობისათვის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციფიკაციის მიხედვით.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

*) დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „კომუნის ტი“, № 77.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1949 წლის 20 აპრილის სხდომების შესახებ

20 აპრილს, დილის 11 საათზე, თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. გიგოშვილი.**

დღის წესრიგშია განხილვა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ **რ. ა. კვირკველიას** მოხსენებისა საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კამათში გამოვიდნენ: საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **ამხ. გ. ა. ალავიძე,** დეპუტატები **ა. გ. ომნაძე** (ქლუხორის საქალაქო ოლქი, ქლუხორის რაიონი), დეპუტატი **მ. ბ. ნარსია** (დიდიჭყონის ოლქი, გეგეჭკორის რაიონი), დეპუტატი **ს. ნ. თაქთაქიშვილი** (სურამის ოლქი, ხაშურის რაიონი), დეპუტატი **ნ. ნ. კეცხოველი** (ტყვიავის ოლქი, ბორის რაიონი), საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი** (ძერძინსკის ოლქი, ქალაქი თბილისი), დეპუტატი **შ. ი. ჭანუყვაძე** (დაბლაცეხის ოლქი, ზოხატაურის რაიონი), დეპუტატი **ო. გ. ბურდული** (ენგაღლის ოლქი, ფუშეთის რაიონი), დეპუტატი **ი. ო. მოსაშვილი** (ყანდაურის ოლქი, კაჭრეთის რაიონი).

ამით დაიხურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სხდომა.

* * *

20 აპრილს, საღამოს 8 საათზე, თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. გიგოშვილი.**

დღის წესრიგშია განხილვა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ **რ. ა. კვირკველიას** მოხსენებისა საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ვ. ვ. მირიანაშვილი** (არბოშიკის ოლქი, წოთელწყაროს რაიონი), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი **ამხ. ი. ს. დოლიძე,** საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი **ამხ. მ. გ. მემარნიშვილი.**

კამათის დამთავრების შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა მომსხენებელის საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ **რ. ა. კვირკველიას** საბოლოო სიტყვა.

უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს და ანგარიშს საქართველოს სსრ 1947 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. შემდეგ ერთხმად მტკიცდება „კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

უმაღლესი საბჭო გადადის დღის წესრიგის უკანასკნელ პუნქტზე—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი დეპუტატი **ვ. ი. ეგნატაშვილი.**

უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს: „საქართველოს სსრ საკუთო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროად გარდაქმნის შესახებ“, „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროად გაერთიანების შესახებ“, „საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საგემონო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტროად გაერთიანების შესახებ“ და იღებს დადგენილებას შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე და 55-ე მუხლებში.

უმაღლესი საბჭო ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მინისტრად დაინიშნენ:

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად — **მიხეილ გიორგის-ძე მემარნიშვილი.**

საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრად — **გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუა;**

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად — **გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი;**

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად — **გიორგი აბესალომის-ძე რობაქიძე;**

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად—**მიხეილ ბახვას-ძე ნარსია;**

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად—**ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე;**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად—**ისიდორე სამსონის-ძე დოლიძე;**

უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ“. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩეულნი არიან ამხ. **დავით ისიდორეს-ძე ბადათურია, შუშანა ოსეფის ასული გოგუაძე, ოლელა გიორგის ასული ზანგური, გრიგოლ დიმიტრის-ძე კერესელიძე.**

უმაღლესმა საბჭომ მიიღო ადგეთვე დადგენილება სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულების არჩევის შესახებ.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

დეპუტატ **გ. ნ. ზამბახიძის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა ქალაქ თბილისის დეპუტატთა დავალებით, უმაღლესმა საბჭომ დაადგინა დეპუტატი **გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი** განთავისუფლებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან მისი საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის გამო და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად ერთხმად აირჩია დეპუტატი **თამარ ნიკოლოზის ასული ქვლოვიძე.**

უმაღლესი საბჭოს დღის წესრიგი ამოწურულია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. გიგოშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაის დახურულად აცხადებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა

(1949-1951 წლები)

(გაგრძელება)

V

საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის აღმავლობის შესახებ

44. დაეკალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, აგრეთვე სამინისტროებს და უწყებებს, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობანი აქვთ, რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს:

ა) მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ მეცხოველეობის მდგომარეობა ყველა საბჭოთა მეურნეობაში, მნიშვნელოვნად გაადიდონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის სულადობა, გაზარდონ ჯოგის პროდუქტიულობა, გაადიდონ საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსთვის ერბო-კარაქის, რძის, ხორცის, მატყლის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების ჩაბარება, აგრეთვე გაადიდონ საბჭოთა მეურნეობებიდან მაღალპროდუქტიული სანაშენო პირუტყვის მიყიდვა კოლმეურნეობებისთვის;

ბ) განავითარონ მეცხოველეობა მარცვლეულ და ბოსტნეულ საბჭოთა მეურნეობებში, ტექნიკური კულტურების საბჭოთა მეურნეობებში იმ ანგარიშით, რომ უძოკლეს ვადაში აღმოფხვრან საბჭოთა მეურნეობების მეტისმეტი სპეციალიზაცია და უზრუნველყონ მათი გარდაქმნა მრავალმხრივ განვითარებულ მეურნეობებად, რომლებსაც სწორად ექნებათ შეხამებული დარგები;

გ) შექმნან საბჭოთა მეურნეობებში მტკიცე საკვები ბაზა, რაც უზრუნველყოფს საკვებია სიუხვეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისთვის;

დ) უზრუნველყონ 1951 წელს საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის მთელი სულადობა კეთილმოწყობილი სადგომებით და წყალმომარაგებით, როგორც ახალი მშენებლობის, ისე საბჭოთა მეურნეობებში არსებულ შენობათა და ნაგებობათა აღდგენის გზით.

45. საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების ზემოაღნიშნული ამოცანების განხორციელების მიზნით დაეკალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისთვის;

ე) უზრუნველყონ 1951 წელს საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის მოსავლიანობა ტონაჟდე, 1950 წელს 9.560 ათას ტონამდე, 1950 წელს 9.560 ათას ტონამდე და 1951 წელს 12.200 ათას ტონამდე; სრულად უზრუნველყონ საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის მოთხოვნილება კონცენტრირებული საკვების მხრივ, აგრეთვე გაუთვალისწინონ საბჭოთა მეურნეობების სასაძოვრო მეურნეობა; ფართო მასშტაბით განახორციელონ მდელოებისა და საძოვრების მოვლის ღონისძიებანი, რათა გადიდდეს მათი მოსავლიანობა და ბალახნარის ხარისხი;

ი) დაამთავრონ 1951 წელს ბალახთა თიბვის, თივის აღებისა და საკვებთა დასილოსების კომპლექსური მექანიზაცია ყველა საბჭოთა მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვის საფუძველზე. მთლიანად მოახდინონ ცხვრის პარსვის მექანიზაცია, ფართოდ დანერგონ ძროხის ელექტრომექანიკური წველა და მოაწყონ ყველაზე შრომატევადი პროცესების—წყლის მიწოდების, საქმელად საკვებთა მომზადების და სხვ.—მექანიზაცია.

46. იმ პირობების შესაქმნელად, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის სულადობის გადიდებას და პროდუქტიულობის გაზრდის სწრაფ ტემპს, დაეკალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისთვის;

ბ) ააშენონ 1949-1951 წლებში საბჭოთა მეურნეობებში ბაკები 2.800 ათასი სულისთვის, მათ შორის 1949 წელს — 300 ათასი სულისთვის, 1950 წელს—1.000 ათასი სულისთვის და 1951 წელს — 1.500 ათასი სულისთვის; საღორეები—3.700 ათასი სულისთვის, მათ შორის 1949 წელს — 650 ათასი სულისთვის, 1950 წელს — 1.300 ათასი სულისთვის და 1951 წელს—1.750 ათასი სულისთვის, ფარეხები 7.400 ათასი სულისთვის, მათ შორის 1949 წელს—1.400 ათასი სულისთვის, 1950 წელს—2.500 ათასი სულისთვის და 1951 წელს—3.500 ათასი სულისთვის.

მეცხოველეობის შენობების აგება მოხდეს პირველ რიგში საჯიშე საბჭოთა მეურნეობებში, ამასთან დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობაში თვითეული ობიექტის შენებლობა, როგორც წესი, უნდა დამთავრდეს ერთი სამშენებლო სეზონის განმავლობაში;

გ) უზრუნველყონ უშუალოდ საბჭოთა მეურნეობების მიერ ხე-ტყის და ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება და დამზადება, ამასთან მოაწყონ 1949-1951 წლებში როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ისე ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში საჭირო რაოდენობის მექანიზებული ხის დამამუშავებელი საწყლისნოები და საწარმოები აგურის, კრამიტის, კირის და სტანდარტული სამშენებლო დეტალების დასამზადებლად.

სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტრომ საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოჰყოს ტყესაყაფი ფონდი მერქნის დასამზადებლად იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს მეცხოველეობის საჭიროებათა მშენებლობის 1949-1951 წლებისათვის დაწესებულ მოცულობას.

ბ) ააშენონ 1949-1951 წლებში საბჭოთა მეურნეობებში 1.700 ჭაბურღილი, 11.200 შახტის ჭა, 555 წყალსადენი, 890 გუბური და წყალსატევი.

47. დაეკალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებს, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობანი აქვთ, მოაწყონ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, შექმნან სპეციალური სკოლები საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა და ფერმათა მპრთველებს მოსამზადებლად, მუდმივმოქმედი კურსები განყოფილებათა და ფერმათა მპრთველების კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მუდმივმოქმედი კურსები უმაღლეს სასწავლებლში მეცხოველეობის სპეციალისტების დასახელოვნებლად.

48. აუცილებლად ჩაითვალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებისათვის გადაცემა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც სხვა სამინისტროების გამგებლობაშია, გარდა სსრ კავშირის ზორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მოსკოვისა და ლენინგრადის ზონების საბჭოთა მეურნეობებისა, რადგან მრავალ სამინისტროთა და უწყებათა მიხედვით საბჭოთა მეურნეობების ახლანდელი დაქუცმაცება ამცირებს საბჭოთა მეურნეობების როლს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში და იწვევს საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ტექნიკური აპარატის გაბერვას როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსათვის საბჭოთა მეურნეობების გადაცემის წესი და ვადა განსაზღვრავა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ცალკე თვითეული სამინისტროსა და უწყების მიხედვით.

VI

მეცხოველეობაში საჯიშე საქმის გაუმჯობესების შესახებ

49. აღიარებულ იქნას, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად წყდება პირუტყვის პროდუქტიული და საჯიშე თვისებების მასობრივი გაუმჯობესების პრობლემა. მეცხოველეობის ჯანსაღი აღმავლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ სწორად იქნება შეხამებული სულადობის ზრდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის პროდუქტიულობის მასობრივ თვისობრივ გაუმჯობესებასა და გადიდებასთან. მთავარი საზოგადო უნდა იყოს პირუტყვის სულადობის ზრდა, განპირობებული პროდუქტიულობის მაჩვენებლებით.

ბევრი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანო არ იღებს ზომებს მაღალპროდუქტიული პირუტყვის სულადობის სწრაფი ზრდისათვის. ცუდად არის მოწყობილი მუშაობა არსებული ძვირფასი პირუტყვის გამრავლებისა და გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებით ჩამორჩება მუშაობა სწრაფმზარდი ჯიშების პირუტყვის გაუძჯობესებისა და გამრავლების დარგში. საჭირო მასშტაბით არ არის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის ხელოვნური დათესლვა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა უფრო მოკლე ვადაში გავადიდოთ მაღალპროდუქტიული პირუტყვის რაოდენობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. დღემდე არსებობს არასწორი პრაქტიკა, როცა ბევრ შემთხვევაში ნაკლებპროდუქტიული პირუტყვის შეჯვარებას მაღალპროდუქტიული ჯიშების მწარმოებლებთან თან არ ახლავს პირუტყვის კვებისა და შენახვის გაუმჯობესება, რის გამო შეჯვარება ეფექტიანად გავლენას ვერ ახდენს პროდუქტიულობის გადიდებაზე, ხოლო ზოგჯერ იწვევს ადგილობრივი პირუტყვის ძვირფასი თვისებების დაკარგვას.

არასწორად ჩაითვალოს, რომ ჯიშთა შორის შეჯვარების ჩატარებისას მთავარი ყურადღება ექცეოდა არა იმას, რომ დაეხვიგროს, განუტკიცდეს და შემდგომ განუვითარდეს კარგი ჯიშობრივი თვისებები ადგილობრივ გაუაუმჯობესებელ პირუტყვს, არამედ პირუტყვის სისხლიანობის (გენერაციის) ფორმალურ ამაღლებას იმ შემთხვევებშიც კი, როცა მოცემულ პირობებში გამაუმჯობესებელი პირუტყვის პროდუქტიულობა და ეარგისიანობა უფრო დაბალი იყო, ვიდრე ადგილობრივი, შეჯვარების გზით გაუმჯობესებული პირუტყვის პროდუქტიულობა და ეარგისიანობა.

სწორი არ არის აგრეთვე ის, რომ მეტწილ კოლმეურნეობებში ამრავლებდნენ მხოლოდ ერთი ჯიშის მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, ღორსა და ცხვარს, მაშინ როცა ბუხარიი პირობებისა და სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების მოთხოვნილებათა დიდი სხვადასხვაობისას საჭიროა და მეურნეობის თვალსაზრისით მიზანშეწონილია მთელი რიგი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოაშენონ სხვადასხვა მიმართულების ჯიშის პირუტყვი.

საჯიშე მუშაობის ჩატარებაში არსებული ყველა ეს ნაკლოვანება იმას იწვევდა, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში პირუტყვის საჯიშე და პროდუქტიული თვისებები სრულიად არადამაკმაყოფილებლად იზრდებოდა.

50. ხორცის, ერბო-კარაქის წარმოების გადიდებისა და ნახი და ნახევრად მქისე მატყლის, ტყავისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების ისეთი ოდენობით მიღების მიზნით, რაც დაკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს, დაეკალოს პარტიულ და საბჭოთა ორგანებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სხვა სამინისტროებს, რომლებსაც მეცხოველეობის მეურნეობები აქვთ:

ა) ყოველმხრივ გადიდონ მაღალპროდუქტიული ჯიშიანი პირუტყვის რეპროდუქცია, უზრუნველყონ უახლოეს წლებში ღონისძიებების განხორციელება სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის სულადობის გასაუმჯობესებლად გამორჩეული და შერჩეული გზით, აგრეთვე ნაკლებ პროდუქტიული პირუტყვის მაღალხარისხოვან მწარმოებელთან მასობრივი შეჯვარების გზით და ამავე დროს გაუმჯობესონ პირუტყვის კვებისა და შენახვის პირობები, რაც ხელს შეუწყობს მის განვითარებას საჭირო მიმართულებით;

ბ) უზრუნველყონ 1949 წლიდან პირუტყვის პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდება, რათა 1951 წელს წველადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდებულ იქნას სულ მცირე 50 პროცენტით, მატყლის პარსვა ერთ ცხვარზე სულ მცირე 25 პროცენტით, და გადიდდეს 1948 წელთან შედარებით სულ მცირე ერთთორად ნაწი და ნახევრადმქისი მატყლის წარმოება;

გ) მიაღწიონ, რომ მთლიანად ჩვენს ქვეყანაში მასობრივი საჯიშე მუშაობის შედეგად 1951 წლის დამლევისათვის გაუმჯობესებული მაღალპროდუქტიული პირუტყვი შეადგენდეს: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი კოლმეურნეობებში სულადობის სულ მცირე 50 პროცენტს და საბჭოთა მეურნეობებში სულ მცირე 90 პროცენტს; ცხვარი კოლმეურნეობებში სულ მცირე 80 პროცენტს და საბჭოთა მეურნეობებში—100 პროცენტს; ღორი — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში—სულადობის 100 პროცენტს.

51. პროდუქტიული თვისებების ამაღლებისა და პირუტყვის ჯიშთა შორის შეჯვარების ჩატარებისათვის მაღალხარისხოვანი ჯიშიანი მწარმოებლებით საკოლმეურნეო ფერმებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფის საქმეში ფართოდ იქნას გამოყენებული საჯიშე საბჭოთა მეურნეობები და საკოლმეურნეო საჯიშე ფერებები.

ამ მიზნით დაეკალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აგრეთვე პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს:

ა) გაუუმჯობესონ საჯიშე მუშაობა არსებული ჯიშების გაუმჯობესებისა, ახალი მაღალპროდუქტიული და სწრაფმზარდი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ცხვრის ჯიშების შექმნისა და მაღალი კლასის ჯიშიანი მწარმოებლების გამოზრდის დარგში; გადააქციონ უახლოესი 3-4 წლის მანძილზე საჯიშე საბჭოთა მეურნეობები სანიმუშო საჯიშე მეურნეობადა—მაღალპროდუქტიული ჯიშიანი პირუტყვის სანაშენოებად;

ბ) შექმნან 1949-1951 წლების მანძილზე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ახალი საჯიშე საბჭოთა მეურნეობები, პირველ რიგში ციმბირის, ყაზახეთის, ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთი კავკასიის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის რაიონებში, მეცხოველეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობები ნაზმატყლიანი ჯიშების ცხვრით — ციმბირის რაიონებში და მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობები — ჩრდილოეთ კავკასიისა და ციმბირის რაიონებში;

გ) გაიფართოვონ საკოლმეურნეო საჯიშე ფერმებისა და სახელმწიფო საჯიშე სანაშენოების ქსელი ყველაზე გავრცელებული მაღალპროდუქტიული ჯიშიანი პირუტყვის რაიონებში და ეს რაიონები გადააქციონ სანიმუშო ჯიშიანი მეცხოველეობის რაიონებადა; მოაწყონ კოლმეურნეობათა საჯიშე ფერმებში საჯიშე მუშაობა არსებული მაღალპროდუქტიული და სწრაფმზარდი ჯიშების გასაუმჯობესებლად და საჯიშე მოზარდეულის მასობრივად გამოსაზრდელად.

უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო საჯიშე სანაშენოების მოქმედების რაიონების კოლმეურნეობებში 1950 წელს საკვების თესლბრუნვის ათვისება, გაფართოდეს ბალახის, ძირხვენებისა და სხვა საკვები კულტურების თესვა იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს თივის დამზადებას საჭირო უხვად; საკვების ბაზის მანძილზე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საკვების სულ მცირე 70 პროცენტის ოდენობით, ძირხვენებისა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის წვნიანი საკვების საერთო მოთხოვნილების სულ მცირე 70 პროცენტის ოდენობით და ღორებისათვის მოთხოვნილების 100 პროცენტის ოდენობით.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფო საჯიშე სანაშენოების მოქმედების რაიონების მეს-ებში ტრაქტორებისა და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის მანქანების პირველ რიგში შეზიდვა, აგრეთვე საჭირო რაოდენობის ბალახისა და სხვა საკვები კულტურების თესლის შეზიდვა.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველყონ კოლმეურნეობებისათვის 1949-1951 წლებში სულ მცირე 150 ათასი ჯიშიანი მოზვერის, 400 ათასი ჯიშიანი ცხვრისა და 150 ათასი ჯიშიანი ღორის მიყიდვა.

52. დაეკალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, აგრეთვე საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს ჩაატარონ მუშაობა მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისა და პირუტყვის საჯიშე თვისებების გაუმჯობესებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მტკიცე საკვები ბაზის შექმნის, სწორი გამორჩევისა და შერჩევის, პირუტყვის კვებისა და შენახვის გაუმჯობესების საფუძველზე შემდეგი მიმართულებით:

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დარგში — მერძეულობის შემდგომი გადიდების, რძეში ცხიმის გადიდებისა და მერძეული და სარძეო-სახორცე ჯიშების ცოცხალი წონის გადიდების, სახორცე თვისებების გაუმჯობესების, სახორცე ჯიშების პირუტყვის სწრაფი ზრდისა და ცოცხალი წონის გადიდების მიმართულებით;

მეცხვარეობაში — ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისე მატყლიანი ჯიშების ცხვრის შემდგომი გავრცელებისა და გაუმჯობესების, მათი მატყლისა და ხორცის პროდუქტიულობის გადიდების, მქისემატყლიანი ჯიშების ცხვრების შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით, რომლებიც გამოირჩევიან თავისი საქურეს, ხორცქონის, ხორცმატყლის და საკვაველე პროდუქტიულობით;

მეღორეობაში — ცოცხალი წონის შემდგომი გადიდების, ჯიშიანი ღორების სწრაფი ზრდის გადიდების, ჯიშიანი დედაღორების ნაყოფიერებისა და ადგილობრივი ჯიშების საქონე ღორების გაუმჯობესების მიმართულებით.

53. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, რომლებსაც აქვთ დიდი ბუნებრივი საკვები ფართობები, სამეურნეო მიზანშეწონილობის პირობებში:

მოაშენონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ორი ტიპის ჯიშები, სადაც მერძეულ პირუტყვთან ერთად არის პირობები სახორცე პირუტყვის განვითარებისათვის;

ნაზმატყლიანი ან ნახევრადმქისემატყლიანი ცხვრის მოშენებისას მოაშენონ აგრეთვე სახორცე-საქონე და მქისემატყლიანი ცხვარი არსებული საძოვრების გამოსაყენებლად, ამასთან აუცილებლად შეასრულონ დაწესებული დავალებანი ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი ჯიშების ცხვრის მოშენების დარგში;

მოაშენონ ღორის ორი ტიპის ჯიშები, ჯიშთა შორის შეჯვარების ფართოდ დანერგვისათვის.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და ღორის ორი ტიპის ჯიშების მოშენება ერთი კოლმეურნეობის ფარგლებში ნებადართულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, რომ ცალცალკე იქნან შენახული სხვადასხვა ჯიშის წარმოებელები და დედაპირუტყვი.

54. ითის გათვალისწინებით, რომ სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ხელოვნური დათესლვა შესაძლებლობას იძლევა უფრო სრულად გამოვიყენოთ ძვირფასი მწარმოებლები და უფრო სწრაფად და ხარისხობრივად გავაუმჯობესოთ მეცხოველეობა, დაეკალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აღგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ძიერონ ზომები სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ხელოვნური დათესლვის გამოყენების გადიდებისათვის.

55. დაეკალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სხვა სამინისტროებს, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობები აქვთ, აღგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ ზოოტექნიკური ჩანაწერების წარმოება დაწესებული ფორმებით ყველა საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობათა მეცხოველეობის სასაკონლო ფერმაში და უზრუნველყონ კოლმეურნეობათა საჯიშე ფერმები და საჯიშე საბჭოთა მეურნეობანი ბლანკებითა და სანაშენო წიგნებით საჯიშე მუშაობის აღრიცხვისა და წარმოებისათვის.

56. საჭიროდ იქნას ცნობილი ყოველწლიურად, დაწყებული 1949 წლიდან, გამოიცეს პროდუქტიული პირუტყვის სახელმწიფო საჯიშე წიგნები ჯიშების მიხედვით. აღდგენილ იქნას 1949 წლიდან ყველა რაიონში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ოორის რაიონული საჯიშე წიგნების წარმოება.

57. სასოფლო-სამეურნეო ცხოველების გამოფენების დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნას ცნობილი მეცხოველეობის რაიონული, სამხარეო, საოლქო და რესპუბლიკური გამოფენების მოწყობა პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიღწევების ფართო ჩვენებით.

VII

მეცხოველეობის ზოოვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესების შესახებ

58. აღინიშნოს, რომ მეცხოველეობის ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურება არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში საუსტად ინერგება მეცხოვერეობა და მეცხოველეობის დარგის მოწინავე გამოცდილების მიღწევები. ზოოვეტერინარიული უბნებისა და პუნქტების მოწყობა საკმაო მასშტაბით არ ხდება, ცუდად არის დაყენებული ზოოტექნიკური და ვეტერინარული დაწესებულებების მომარაგება მედიკამენტებით, ბიოპრეპარატებით, ინვენტარითა და ინსტრუმენტარით.

59. დაეკალოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გაუუმჯობესონ მეცხოველეობის ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ფართოდ დანერგონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის პრაქტიკაში მუშაობის მიჩეფინელი პრინციპები, აგრეთვე მეცხოველეობის დარგის მოწინავე გამოცდილების მიღწევები.

60. დაეკალოს აღგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1949-1950 წლების მანძილზე თვითეულ რაიონში მოაწყონ ცენტრალური ზოოვეტუბანი რაიონული სამკურნალოთა, აგრეთვე გაადიდონ ზოოვეტუბნებისა და პუნქტების ქსელი და მათი რიცხვი 1951 წლის დამლევისათვის აიყვანონ 25 ათასამდე.

ერთიანი სახელმწიფო ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ქსელის ძირითად ამოცანად ჩაითვალოს:

ა) ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ ღონისძიებათა შემუშავება და გახორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებას, პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას;

ბ) საკვების წარმოების, სასოფლო-სამეურნეო პირუტყვისა და ფრინველის სწორი კვების, მოვლის, შენახვისა და რეპროდუქციის ორგანიზაცია;

გ) დაავადებათა თავიდან აცილება და დაავადებული ცხოველებისათვის დროული დახმარების აღმოჩენა;

დ) კონტროლის განხორციელება ფერმებში შრომის სწორი ორგანიზაციისა და ანაზღაურებისადმი და დახმარების აღმოჩენა საკოლმეურნეო წარმოებაში მეცხოველეობისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა დანერგვაში და კოლმეურნეობებისთვის ძეცხოველეობის მასობრივი კადრების მომზადებაში.

54. ითის გათვალისწინებით, რომ სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ხელოვნური დათესლვა შესაძლებლობას იძლევა უფრო სრულად გამოვიყენოთ ძვირფასი მწარმოებლები და უფრო სწრაფად და ხარისხობრივად გავაუმჯობესოთ მეცხოველეობა, დაეკალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აღგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ძიერონ ზომები სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ხელოვნური დათესლვის გამოყენების გადიდებისათვის.

55. დაეკალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სხვა სამინისტროებს, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობები აქვთ, აღგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ ზოოტექნიკური ჩანაწერების წარმოება დაწესებული ფორმებით ყველა საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობათა მეცხოველეობის სასაკონლო ფერმაში და უზრუნველყონ კოლმეურნეობათა საჯიშე ფერმები და საჯიშე საბჭოთა მეურნეობანი ბლანკებითა და სანაშენო წიგნებით საჯიშე მუშაობის აღრიცხვისა და წარმოებისათვის.

56. საჭიროდ იქნას ცნობილი ყოველწლიურად, დაწყებული 1949 წლიდან, გამოიცეს პროდუქტიული პირუტყვის სახელმწიფო საჯიშე წიგნები ჯიშების მიხედვით. აღდგენილ იქნას 1949 წლიდან ყველა რაიონში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ოორის რაიონული საჯიშე წიგნების წარმოება.

57. სასოფლო-სამეურნეო ცხოველების გამოფენების დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნას ცნობილი მეცხოველეობის რაიონული, სამხარეო, საოლქო და რესპუბლიკური გამოფენების მოწყობა პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიღწევების ფართო ჩვენებით.

VIII

მეცხოველეობის კადრების მომზადების შესახებ

64. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, მთელი რიგი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანოები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტექნიკურ-ეკონომიურ-ბუღალტერიულ ცოდნით,

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქციული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა

(1949-1951 წლები)

(დასასრული)

მეფრინველეების და სხვათა მოსამზადებლად. ხოლო ამ კადრების უფოლად შეუძლებელია მაღალპროდუქტიული, მაღალსაქონლიანი მეცხოველეობის განვითარება. დღემდე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის კადრების დიდი დენადობაა, რაც იწვევს გაუპიროვნებას პირუტყვის მოვლასა და შენახვაში და სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს პირუტყვის სულადობის უსწრაფეს გადიდებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

65. მეცხოველეობის სპეციალისტთა მომზადების, გადამზადებისა და გამოყენების გაუმჯობესების მიზნით დაეალოს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) გახსნან ზოოტექნიკურ, ვეტერინარულ და სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებთან მეცხოველეობის სპეციალისტთა ცოდნის ამაღლების მოკლეადიანი კურსები. ამ კურსებზე პირველ რიგში ჩაბარდ ის სპეციალისტები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ კოლმეურნეობების წარმოებაში, ზოოვეტბინებში, ზოოვეტპუნქტებსა და ვეტსამკურნალოებში.

ბ) უზრუნველყონ ზოოტექნიკური და ვეტერინარული ინსტიტუტები და ტექნიკუმები სახელმძღვანელოებთა და სასწავლო ხელსაწყოებით, მოაწყონ სასწავლო კაბინეტები ხელსაწყოებით, ინსტრუმენტით და მოამარაგონ ხსინი საჭირო ნივთებით.

66. დაეალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს:

ა) მიიღონ ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მეცხოველეობის მასობრივი პროფესიების კადრების (მწველავების, მეხბორეების, მეოლეებისა, მწყემსების, მეჯოგეების, მეჯინიბეების, მეფრინველეების და სხვათა) მომზადების საქმეში თვით კოლმეურნეობებში, აგრეთვე გაუმჯობესოს მუშაობა ამ კადრების მოსამზადებლად სოფლის მეურნეობის ორგანოების მიერ ვეტსამკურნალოებთან და ზოოვეტუნივერსიტეტებთან;

ბ) გაუმჯობესონ მეცხოველეებისა და უმცროსი ვეტერინარი ფერმშლების მომზადება ერთწლიანი კურსების მეშვეობით. უზრუნველყონ სკოლები სასწავლო შენობებით და მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლით, მოაწყონ კაბინეტები და ლაბორატორიები, აგრეთვე შექმნან სკოლებთან სანიმუშო-სასწავლო მეურნეობანი;

დ) მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან და მექანიზაციის სკოლებთან მოკლევადიანი კურსები კოლმეურნეთაგან მეცხოველეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მასობრივი პროფესიების კადრების მოსამზადებლად.

IX

მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ

67. აღინიშნოს, რომ მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩამორჩება მეცხოველეობის პრაქტიკულ მოთხოვნილებებს და ბევრ შემთხვევაში დაბალ თეორიულ დონეზე წარმოდგს. არსებული სერიოზული მეცნიერული მიღწევები კი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში ძალიან ნელა ინერგება. ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები, რომლებსაც მეცხოველეობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა დიდი რაოდენობა ჰყავთ, სრულიად არასაკმაოდ იყენებენ მათ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

68. დაეალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის, სასოფლო სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლს უფრო ფართოდ გააჩაღონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მეცხოველეობის დარგში მიჩურჩნული მოძღვრების საფუძველზე და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა, საცდელი სადგურებსა და სასწავლებლების წინაზე შემდეგი ძირითადი ამოცანა:

ა) ღონისძიებათა შემუშავება ჯოგის რეპროდუქციის დასაჩქარებლად, სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის პროდუქტიულობის ასამაღლებლად სწორი და რაციონალური კვების გზით, რათა უკეთ იქნას ანაზოაურებული დახარჯული საკვები, სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის ჯიშების გასაუმჯობესებლად და ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების შესაქმნელად;

ბ) არაგადადგეს დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური ზომების შემუშავება და დანერგვა, აგრეთვე რადიკალური ზომების შემუშავება სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის ინფექციურ დაავადებათა სალიკვიდაციოდ;

გ) სსრ კავშირის ცალკეული სასოფლო-სამეურნეო ზონების შესაბამისად ღონისძიებათა შემუშავება მყარი საკვები ბაზის შესაქმნელად ველებისა და საძოვრების რაციონალური გამოყენების, მინდვრის საკვების მოპოვების სწორი ორგანიზაციით, ნათესბალახიანი და საკვები თესლბრნეულა და საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდების გზით;

დ) მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის და უფრარეს ყოვლისა საკვების მოპოვების, წყლის მომარაგების, ძროხის წველის, ცხვრის პარსვისა და ფინასაფერმო ტრანსპორტის ელექტროფიკაციის ფართოდ დანერგვის საკითხთა დამუშავება;

ე) სსრ კავშირის ცალკეული სასოფლო-სამეურნეო ზონების შესაბამისად მემიდფერეობისა და მეცხოველეობის, აგრეთვე მეცხოველეობის ცალკეული დარგების განვითარებაში სწორი შეხედვის საკითხთა დამუშავება.

70. დაეალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს:

ა) უახლოესი 2—3 წლის მანძილზე ადადგინონ, შეაკეთონ, აგრეთვე აშენონ მეცხოველეობისა და საკვების ძომპავებელი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, საცდელი სადგურების ლაბორატორიული, საწარმოო და საცხოვრებელი შენობები ინერნით, რაც უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებას ამ დადგენილებით განსაზღვრულ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ამოცანების შესაბამის მასშტაბს;

ბ) გაუმჯობესონ მეცხოველეობისა და საკვების ძომპავებელი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საცდელი სადგურების უზრუნველყოფა საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობით. განამტკიცონ ამ ინსტიტუტებისა და საცდელი სადგურების საცდელი მეურნეობანი, გამოჰყონ მათთვის საჭირო რაოდენობის ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ავტომანქანები, სამშენებლო მასალა და ჯიშიანი პირუტყვი, უახლოეს წლებში ეს მეურნეობანი გადაიქცეონ მეცხოველეობის სანიმუშო მეურნეობებად მათში ათვისებული ნათესბალახიანი თესლბრნეულით და მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემით;

გ) უზრუნველყონ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და საცდელი სადგურები მეცნიერული ლიტერატურით, მოაწესრიგონ მეცხოველეობის დარგში მეცნიერული ნაშრომების დროზე გამოცემა.

71. დაეალოს სამინისტროებსა და უწყებებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაამტკონონ 1949 წლის განმავლობაში ყველა შენობა, რომლებიც ეკუთვნოდათ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის ზოოტექნიკურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და სასწავლებლებს და ვეტსამკურნალოებს და რომლებიც ამჟამად გამოყენებულია არა დანიშნულებისამებრ.

X

კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების შესახებ

72. აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში შრომის ორგანიზაციასა და ანაზღაურებაში დიდი ნაკლოვანებებია, რაც ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების გადიდებას და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას. დღემდე ჯერ კიდევ ბევრ კოლმეურნეობაში აღმოფხვრილი არ არის გაუპიროვნება პირუტყვის მოვლაში, გამოყენებულია გამომუშავების მოძველებული, შემცირებული ნორმები. მეცხოველეობის ფერმებში მომუშავე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება ხშირად ხდება დროის მიხედვით, მიღებული პროდუქციის, მომსახურებაში მყოფი პირუტყვის რაოდენობის გაუთვალისწინებლად. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მეცხოველეობის ფერმების გამგეების შრომის ანაზღაურება ბევრ შემთხვევაში ხდება პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის განვითარების გაუთვალისწინებლად, მეცხოველეობაში მათი მუშაობის შედეგების გაუთვალისწინებლად.

73. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების შემდგომი გაუმჯობესების, შრომადღეების დარიცხვაში წესრიგის დამყარების და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის სულადობის გადიდებით და პირუტყვის სულადობის გადიდებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შემდგომი ამაღლების მიზნით რჩება მიეცეს კოლმეურნეობებს დაარსონ მეცხოველეობაში მომუშავე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება იმის მიხედვით, თუ რამდენს მიიღებენ რძეს, მატყლს, რამდენს გამოზრდიან მოზარდეულს, რამდენს მიიღებენ ცოცხალი წონისა და მუშა და პროდუქტიული პირუტყვის ნაკვებობის ნამატს.

XI

მეცხოველეობის განვითარებაში წარმავლებებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა წახალისების შესახებ

74. მეცხოველეობაში მაღალი მიჩენებლების მიღწევისათვის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა წახალისების მიზნით, წინადადება იქნას შეტანილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში:

ა) სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლით დაჯილდოების შესახებ სოფლის მეურნეობის იმ მოწინავეებისა, რომლებიც მიიწევენ მაღალ მაჩვენებლებს მეცხოველეობაში;

ბ) სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ ნამსახურობისა და უმწიკლო მუშაობისათვის სოფლის მეურნეობაში ზოოტექნიკოსების, ვეტერინარი მუშაკების, აგრონომების, ინჟინრების, ხელმძღვანელი მუშაკებისათვის, რომლებიც მეცხოველეობის დარგში მუშაობენ და აქვთ სოფლის მეურნეობაში მუშაობის განუწყვეტელი სტაჟი: 8 წელი — მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“, 10 წელი — მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, 15 წელი — „სპატიო ნიშნის“ ორდენით, 20 წელი — შრომის წითელი დროშის ორდენით და 25 წელი — ლენინის ორდენით;

გ) იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც გაუმჯობესეს სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის ჯიშები და გამოიყვანეს ახალი ჯიშები და განსაკუთრებით გამოჩენილი სელექციონერებისათვის, პირუტყვის ახალი ჯიშის გამომყვანთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ;

დ) მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისათვის, რომელთაც დიდი დამსახურება აქვთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის განვითარებაში, სპეციალიტეტის წოდებების „რესპუბლიკის დამსახურებული ზოოტექნიკოსი“, „რესპუბლიკის დამსახურებული ვეტერინარი ექიმი“ შემოღების შესახებ.

75. დაწესდეს სახელმწიფო პრემიები სოფლის მეურნეობის სპეციალისტთათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის არსებული ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ჯიშების გამოყვანისათვის 50 ათასიდან 100 ათას მანეთამდე; ცხვრისა და ღორის არსებული ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ჯიშების გამოყვანისათვის — 25-ათასიდან 50 ათას მანეთამდე.

76. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო საჯიშე სანაშენოების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საცდელების დასაჯილდოებლად დიდი წარმატებებისათვის მეცხოველეობისა და საკვების მოპოვების აღმავლობაში შეიქმნას დაჯილდოების სახელმწიფო ფონდი, რისთვისაც 1950-51 წლებში გამოიყოს 5.000 სატვირთო და 1.000 მსუბუქი ავტომანქანა და 10.000 მოტოციკლი.

77. დაწესდეს, დაწყებული 1949 წლიდან, ზოოტექნიკოსებისა და ვეტერინარ მუშაკთათვის, რომელთაც 50 წლის ასაკს მიაღწიეს, პენსია ნამსახურობისათვის იმ ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით, რასაც ისინი იღებენ პენსიის დანიშვნის მომენტში, თუ მათ აქვთ სოფლის მეურნეობაში თავის სპეციალობაზე მუშაობის 25 წლის განუწყვეტელი სტაჟი.

სოფლის მეურნეობის პენსიონერ სპეციალისტებს, რომლებიც განაგრძობენ მუშაობას, პენსია მიეცეთ მიუხედავად ხელფასისა, რასაც ისინი იღებენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის სტენოგრამა

კამათი საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ ვ. დ. კუპრაძის სიტყვა

(რესპუბლიკის რაბოტნიკი, ხიდიდისთვის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მძლავრმა აღმავლობამ და შშრომელთა კეთილდღეობის განუხრელმა ზრდამ ტტკიცე საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კულტურისა და სახალხო განათლების შეუნელებელ წინსვლას, მის ნაძდვილ აღორძინებას.

ცნობილია, რომ საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტურ პარტიას არასოდეს არ შეუნელებია ზრუნვა სახალხო განათლების საქმეზე, არასოდეს არ დაუზოგავს სახსრები და საშუალებები მისი საჭიროებისათვის. ამ ზრუნვისა და დახმარების ახალ, ბრწყინვალე დ დასტურებას წარმოადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 2 მარტის ბრძანებულება სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უმწიკლო მუშაობისათვის საქართველოს სსრ სკოლების 6.365 მასწავლებლის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. ახლა ჩვენში ყოველ მეექვსე მასწავლებელს მთავრობის მაღალი ჯილდო აქვს მოენიჭებული. ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 855 მასწავლებელი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 634, „საპატიო ნიშნის“ ორდენით—824.

დიდი სიხარული და შრომითი აღმავლობა გამოიწვია ამ ბრძანებამ შეფასებამ მასწავლებლების შორის; ისინი მხურვალე მადლობას უძღვნიან პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ხალხთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს და პირობას იძლევიან გასაკეთებელი ენერგიით ებრძოლონ ამისათვის, რომ ჩვენს სკოლებში აღიზარდოს მეცნიერებათა საფუძველების ცოდნით კარგად შეიარაღებული, მაღალიდეური, სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადებული ახალგაზრდა თაობა.

სკოლასა და მასწავლებლებზე შეუნელებელი ზრუნვითაა აგრეთვე ნაკარნახევი მთავრობის დადგენილებანი მასწავლებელთა ხელფასისა და პენსიების გადიდებისა, შეღავათებისა და უპირატესობათა დაწესების შესახებ.

სახალხო განათლების შემდგომი აღმავლობა და განმტკიცებისათვის ზრუნვის ბრწყინვალე დოკუმენტს წარმოადგენს ბიუჯეტის ეს პროექტი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭის მიერ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე განსახილველად არის წარმოდგენილი. ბიუჯეტის ამ პროექტი 1949 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლების, უმაღლესი სასწავლებლის, საბავშვო ბაღების, საბავშვო სახლების, სკოლის გარეშე საბავშვო და სხვა დაწესებულებათა საჭიროებისათვის გათვალისწინებულია 748.470.000 მანეთი, რაც 40.959.000 მანეთით აღემატება გასულ წელს ამ დანიშნულებისათვის გაწეულ ხარჯებს. მარტო მასწავლებელთა კომფესალური მომსახურების გასაუმჯობესებლად შარშანდელთან შედარებით თანხები 250 პროცენტით არის გადიდებული.

ეს კი სახალხო განათლების მუშაკებს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს და სერიოზულ ამოცანებს უსახავს.

გასული სასწავლო წლისა და მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები ცხადად აფასტურებს, რომ ჩვენს სკოლებში გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი, ამაღლდა მოსწავლეთა მომზადების დონე.

მიუხედავად ამისა ჩვენს სკოლებს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ბღაწნია. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგი ჩარკვიანი თავის მოხსენებაში სამართლიანად მიგვითითებდა ამაზე, რომ „მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის წარმატება ჯერ კიდევ დაბალია. 1947-48 სასწავლო წელს შემდეგ კლასში ვერ გადაიყვანა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 14,2 პროცენტი. ეს იმის შედეგია, რომ ბევრი პედაგოგი ანკარიშს არ უწევს ჩამორჩენილი მოსწავლის ხასიათის თავისებურებას და არ ეწევა მასთან სპეციალურ მუშაობას“.

ყრილობამ მოითხოვა სახალხო განათლების მთელი საქმის შემდგომი გაუმჯობესება, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გაღრმავებულად გატარება, მეცადინეობის მრავალფეროვანისა და მეორეწლიანობის ლიკვიდაცია, სწავლების ხარისხისა და შინაარსის დაყენება სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული პროგრამებისა და სასწავლო გეგმების შესაბამისად უყოლგნელ ყველა სკოლასა და ყველა საგანში. ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებლები ყველაფერს გააკეთებენ ამისათვის, რომ პარტიული ყრილობის ეს დავალება პირნათლად შესრულონ.

განათლების ორგანოებს, სკოლების, მასწავლებლებისა და შშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი სასოფლო საბჭოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისათვის ზრუნვა წარმოადგენს. სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ ამ. ( ) ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თქვა, რომ „ჩვენ უკვე შესაძლებლობა გვაქვს უსახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მთლიანად უზრუნველყოთ საყოველთაო-სავალდებულო სწავლება ქალაქად საშუალო სკოლის მოცულობით და სოფლად რვაწლიანი სკოლის მოცულობით“. ამასთან დაკავშირებით უკვე მიმდინარე წელს ყველა ოთხწლედადამთავრებული მოსწავლე გადაყვანილი იქნება მე-5 კლასში. სახალხო სამეურნეო გეგმით 1949 წელს მოსწავლეთა საერთო კონტინგენტი ზოგადი განათლების სკოლებში 50 ათასი მოსწავლით იზრდება. ეს გარემოება სერიოზული საორგანიზაციო და მეთოდიკა-პედაგოგიური ამოცანების წინაშე აყენებს სახალხო განათლების ორგანოებს. ჩვენი მე-5 კლასები ყოველშრივ და ყველან მზად უნდა იყვნენ ახალგაზრდობის ამ დიდი რაოდენობის მისაღებად.

გასულ წელს სასკოლო შენობების რემონტისა და კეთილმოწყობისათვის 22 მილიონ მანეთზე მეტი დახარჯა. 4.000-ზე მეტ სასკოლო შენობას გაუკეთდა კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, შეიქნელია 22 ათასზე მეტი ახალი მერხი, დაფა, კარადა, მაგიდა და სხვ. გარდა ამისა, მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით ბევრი სკოლა მოყვანილ იქნა წესრიგზე.

მთელ რიგ რაიონში ცუდად მიმდინარეობს სოფლის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების შენებლობა. მინისტრთა საბჭის დადგენილებით 1948 წელს გაბმულებში სოფლის დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების მასწავლებელთათვის უნდა აშენებულიყო სამასი ერთბინიანი სახლი. დღემდე მხოლოდ 61 სახლია აშენებული. ეს მოწმობს, რომ ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანო, და პირველ რიგში განათლების ორგანო, ვერ იჩენს საკმარ ინიციატივას — მთლიანად გამოიყენონ ძალები და რესურსები, არ შესწევს ენარი სათავეში ჩაუდგეს შშრომელთა მძლავრ სახალხო მოძრაობას სოფლის დასახმარებლად.

იქ, სადაც ადგილობრივი ორგანიები, კერძოდ, სახალხო განათლების ორგანოები მოწონდების სმაილოვზე ფიქრან და სათანადოდ უძღებიან სასკოლო საქმეს, სკოლების კეთილმოწყობის დარგში თვალსაჩინო ნაბიჯებია გადადგმული. 1948 წელს საქართველოში მოსახლეობის ინიციატივით აშენდა 100-ზე მეტი ახალი სასკოლო შენობა. გუდაუთის რაიონსა მოსახლეობამ ააგო სამეალი სკოლის შენობა სოფელ ლიბინში. აჭარის ასსრ რაიონებში მოსახლეობამ ააგო 28 სასკოლო შენობა. ტალინინის რაიონში მოსახლეობის ინიციატივით აგებული 7 სასკოლო შენობა. ხაშურის რაიონში საზოგადოებრივი შრომითი მონაწილეობით აშენდა 5 სასკოლო შენობა. მოსახლეობის ინიციატივით სასკოლო შენობები აშენდა მახარაძის, ლაჩინეთის, ქუთაისის, ზუგდიდის, ყაზბეგისა და სხვა რაიონებში. მაგრამ ყაზბეგის რაიონის სკოლებს ჯერ კიდევ სერიოზული დახმარება სჭირდებათ; ეფხოვე სუსიას ყაზბეგის რაიონის სკოლების კეთილმოწყობისათვის დამატებით გაეცეს. იქნას 50.000 მანეთი. სახელმწიფოს მიერ ყოველწლიურად გათვალისწინებულ დიდ თანხებს რომ ყველგან შეეფერდეს ჩვენი ხალხის დიდი შემოქმედებითი ძალები და ღონისძიებანი, ჩვენ ყველგან გვიქნებოდა კეთილმოწყობილი სკოლები და ყველგან იქნება შექმნილი საჭირო პირობები ნორმალური მეცადინეობისათვის. წარმატება აქ მთლიანად დამოკიდებულია ხელმძღვანელობაზე, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მოქნილ მუშაობაზე, ამაზე, თუ რამდენად ოპერატიული არიან ადგილებზე სახალხო განათლების ორგანოები.

სახალხო განათლების ორგანოების ერთი ნაწილის მოუქნელი მუშაობის შედეგად გასულ წელს სახელმწიფოს მიერ გადაეცენ თანხები მოლიანად არ ყოფილა ათვისებული. ჩვენ ფქედან საჭირო დასკვნები უნდა გავაკეთოთ და უზრუნველყოთ, რომ სახელმწიფოს მიერ გულუხვად გადაეცენ სახსრებიდან ჩვენი ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმეს არც ერთი მანეთი არ დაეკარგოს. ამისთან დაკავშირებით მე გამოვიქვამდი მსოლოდ სურვილს იმის შესახებ, რომ საფინანსო ორგანოები, პირველ რიგში, თვით ფინანსთა სამინისტრო დროულად აძლევდნენ საათანადო სიგნალებს ამა თუ იმ უბანზე თანხების ათვისებლობის შესახებ და ზედამხედველობის წესით, სისტემატურად მოითხოვდნენ უკეთ მუშაობას ამათგან, ვისაც ეს შეეხება.

ჩვენში სკოლების მუშაობისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია შექმნილი; საქართველოს ს. ს. ს. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ამხანაგი კ. ჩარკვიანი და რესპუბლიკის მთავრობა განუხრელად ზრუნავენ სახალხო განათლების შემდგომი აღმაღლებისათვის. ეს გარემოება ბუნებრივად ზრდის სახალხო განათლების ყველა მუშაკის მოვალეობას ქვეყნის წინაშე. ახლა ამოცანა ეს არის, რომ თვითეული მასწავლებელს გულმოდგინე, ყოველი წუთის გამოყენებაზე აგებული სწორი პედაგოგიური შრომით მივიწიოთ მეორეწლიანობის ლიკვიდაციას ჩვენს სკოლებში და სკოლებიდან გამოვეტვიოთ უნაყო ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობა; ამისათვის საჭირო, რომ თავის ცოდნასა და პედაგოგიურ ოსტატობას ჩვენმა მასწავლებელმა ეუფროს ბტკიოვ გადაუყვეტლება, რათა მან ყველა პედაგოგიური საშუალების გამოკენებით მიაღწიოს მოსწავლეთა წარმატების თვალსაჩინო ზრდას. საქართველოს მასწავლებლობას ესმის თავისი მოვალეობა, იგი სწორად ამ გადაწყვეტილებით არის ჩაბმული საქმეში და ეგეი არ არის, რომ მისი ეს შრომა ღირსეულ ნაყოფს მაღე გამოიღებს.

ამხანაგო დეპუტატებო! ბიუჯეტის პროექტი, რომელიც დღეს აქ თქვენ მსჯელობას საგანია, საფესეთი უზრუნველყოფს მეოთხე ხუთწლედის მიმდინარე წლის ამოცანების მაღალხარისხოვნად და გადაკარბებით შესრულებას. ეს, მხარს ვუჭერ ბიუჯეტის ამ პროექტს, რადგან იგი მძლავრი პირობაა ჩვენი შემდგომი აღმავლობისა, ჩვენი ეკონომიკის შემდგომი ძლიერი წინსვლისა, ჩვენი ხალხის მაღალი კულტურის შემდგომი გაფურჩქნა-აყვავებისა.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღებითა და მზრუნველობით გარემოცული ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებლობა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭის და პირადად ამხანაგ კ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობითა და დახმარებით, კიდევ მეტად შეამჭიდროებს თავის რიგებს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო და დაფდაფად, ძალღონის დაუზოგავად განაგრძობს თავის სამტალი მოვალეობის შესრულებას.

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის სახელოვან შვილს, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს ამხანაგ ბერიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა ზამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, ჩვენს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს! (მეუხარე ტაში).

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მ. მ. ღეღაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ხალხი ჩვენი პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წარმატებით იმუშავებს ომით მოყენებულ ჭრილობის. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში გამლიერია სოციალისტური შეჯიბრება ომისშემდგომი ხანმოკლე ერთ ხუთწლედის ოთხ და სამნახევარ წელიწადში შესასრულებლად. საქართველოს შრომელები პირნათლად ასრულებენ დიდი სტალინის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს.

ძლიერდება და ახალი ინიციატივიდან ნაგებობებით მშვენდება ჩვენი მზიური საქართველო. ბრწყინდება და ლამაზდება ქართველი ხალხის საყვარელი დედაქალაქი თბილისი. ქართველი ხალხის ერთგული შვილის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით ძველმა თბილისმა სახე იცვალა და დღეს იგი საბჭოთა ქვეყნის ქალაქებს შორის ერთ-ერთ მოწინავე კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა.

თბილისის ბოლშევიკები, მთელი შშრომელი მოსახლეობა საქართველოს მთავრობის და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უდიდეს მუშაობას ეწევიან ამისათვის, რომ რესპუბლიკის დედაქალაქი იყოს უფრო კულტურულ-მოწყობილი, საქალაქო მეურნეობით და კულტურის ეერგით განვითარებული, კულტურულ შრომისა და დასვენების ყოველგვარი პირობებით უზრუნველყოფილი.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ ზრდასა და განვითარებას. წარმოდგენილი ბიუჯეტის შესრულება უფრო მეტად შეაჩარაფებს ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებსა და სოფლის მეურნეობას ახალი ტექნიკით, უფრო მეტად გაუმჯობესებს რესპუბლიკის შშრომელთა ცხოვრების მატერიალურ პირობებს.

1948 წელს ბიუჯეტის ხელმძღვანელობა ეფუძნება ამ პროექტ სამუშაოებზე საგრძნობი თანხები დაიხარჯა. ბიუჯეტის ზედმეტი შემოსავალი ანგარიშში, იგრეთვე საწარმოთა საკუთარი შემოსავლიდან ქალაქის მეურნეობის ყველა სახის სამუშაოებზე 1948 წელს დაიხარჯა 98 951 ათასი მანეთი, ე. ი. გეგმის ზევით ათოთხმეტ იქნა 14.413 ათასი მანეთი.

მიუხედავად ამისა, რომ ყოველდღიურად დიდი თანხები იხარჯება როგორც ახალი ბინების შენებლობაზე, ისე ძველი ბინების რემონტზე, სამინისო ფონდი თბილისის მოსახლეობისათვის ჯერ-ჯერობით საკმარ არ არის და აღმასკომის მუშაობაში ვიწრო ადგილ წარმოდგენს.

1948 წელს მარტო აღმასკომის ხახით აშენდა ორი დიდი სახლი 4.457 კვადრატული მეტრი ფართობით. წელს დამთავრდება კიდევ 2 სახლი 4.022 კვადრატული მეტრი ფართობით. გაბალუბულია საუნაგო სახლების შენებლობა. შენდება 44 საცხოვრებელი სახლი, 100 ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინა. ამის შედეგად წელს თბილისის საცხოვრებელი ფონდი 55 ათასი კვადრატული მეტრით გაიზრდება.

1948 წელს დიდი მუშაობა ჩატარდა ქუჩების კეთილმოწყობისა და მოასფალტებისა-მოკირწყლისათვის. წარმოებს მოსამზადებელი სამუშაოები ქალაქის ვიწრო ქუჩების, მათ შორის მელიქიშვილისა და ჩელუსკინელების ქუჩების გასაფართოებლად. 1949 წელს გაფრქვევდება ქუჩებისა და ტროტუარების მოკირწყვლა.

ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანის ინიციატივით ჯერ კიდევ 1947 წელს დაიწყო ბტკვარის მარცხენა სანაპიროს შშენებლობა. ეს მუშაობა დაკვრითი წესით მიმდინარეობდა 1948 წელს. კარგად არის მოწყობილი სამუშაოები 1949 წელსაც, რის შედეგად პირველ კვარტალში უკვე ათვისებულია ამელი წელისათვის გათვალისწინებული სახსრები.

თბილისი ყოველწლიურად მშვენდა ნარგაზებით იმოსება. შენდება ახალი პარკები და სკვერები, მათ შორის ვაკის ტბის პარკი, რომელიც 120 ჰექტარ ფართობს დიაკავებს.

ქალაქ თბილისის 1948 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მისი დაზუტების შემდეგ 240.334 ათას მანეთს უდრიდა, ფაქტიურად კი შემოვიდა 246.951 ათასი მანეთი ანუ 6.617 ათასი მანეთით მეტი.

გასული წლის ბიუჯეტით ხარჯებისათვის დამტკიცებული

საზოგადოებრივი პროდუქციული მეცხოველეობის განვითარებისათვის!

საქართველოს მეცხოველეობის მუშაკები ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას — „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა (1949-1951 წლები)“.

★ ★

მასების კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის ზრუნვის დოკუმენტი

ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დიდი ინტერესითა და სიხარულით მოისმინეს რადიოთი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა (1949-1951 წლები)“. ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. კირეულიშვილმა განუცხადა:

— ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი დაუღალავად ზრუნავენ კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლებისთვის, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვისათვის. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა ცხადყოფს, თუ რა თანმიმდევრული წარმატებით ხორციელდება ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და განვითარების დიადი ამოცანები. ჩვენს კოლმეურნეობაში მეცხოველეობას ჯერიანი ყურადღება ექცევა. შაბნან წარმატებით შეეასრულეთ როგორც სულადობის, ისე წველადობის გეგმა. პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილების პასუხად წელს მიზნად ვისახავთ ყოველმხრივ ავამაღლოთ პირუტყვის პროდუქტიულობა, 1950 წლისათვის ერთი საფურაქე ძროხისაგან მივიღოთ საშუალოდ 2.100 ლიტრი რძე, ხოლო 1951 წლის დამლევისათვის 2.400 ლიტრი.

წელს გათვალისწინებულია 22 სული ძროხა შეეცვალოთ გაუმჯობესებული ჯიშიანი ძროხებით, ავაშენოთ ბინა 30 სული მეწველი ძროხისათვის, ამასთან ერთად ფართოდ დავნერგოთ ფერმებში წყლის მიწოდების, საკვების მომზადების, პირუტყვის მოვლის სამუშაოების მექანიზაცია, გავიყვანოთ აგრეთვე ელექტროსინათლე.

კოლმეურნეობა განიცდის საკვები ბაზის ნაკლებობას. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად გათვალისწინებულია დავთესოთ ითხოვა 100 ჰექტარზე, ფეტვი 100 ჰექტარზე, დავთესავთ აგრეთვე ფიგას, საკვებ ჭარხალს და სხვ. მოვაყოთ მეფრინველეობის ფერმას.

მეცხოველეობის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის დაწესებულია სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის მრავალი სახის ჯილდოო. კოლმეურნეთა შრომის ასეთ დაფასებას ჩვენ ეუპასუხებთ ენერგიული შრომით.

ნყალგზებოელ კოლმეურნეთა სიგყვა

ნყალტუბო. (საკ. კორ.) რაიონის მეცხოველეობის დარგის მუშაკები ახალმა სახარულმა მოიცვა. მათ რადიოთი მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება: „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა (1949-1951 წლები)“.

ნყალტუბოელმა მეცხოველეებმა შარშან თავი ისახელეს მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის გეგმების შესრულების საქმეში. თვითეული საფურაქე ძროხისაგან მიღებულ იქნა 750 ლიტრი რძე, საცვლად გეგმით გათვალისწინებული 550 ლიტრისა. ყოველ 100 ძროხიდან მიღებულია 96 ხბო.

პარტიისა და მთავრობის ამ ახალი დადგენილებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები პირობას დებენ წველადობის ზრდისა და პროდუქციულობის გეგმა შეასრულონ პირველი ოქტომბრისათვის, ყოველი საფურაქე ძროხისაგან მიიღონ 850 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 ლიტრისა, ხოლო მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის დავალება შეასრულონ 105 პროცენტით; ასევე განავითარებენ მეღორეობას, მეფრინველეობას და სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულებას ვადამდე გადაასრულებენ გაანალდებენ.

მეცხოველეობის საკვები ბაზის განსამტკიცებლად დაითესება 400 ჰექტარზე მეტი ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახი, აგრეთვე სიმინდი, სოია.

ნყალტუბოს რაიონის მეცხოველეობის დარგის მუშაკები თავდადებულად შრომობენ აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, რითაც ისინი ხელს შეუწყობენ ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნას.

თვითეულ ძროხაზე 3.000 ლიგრი რძე

თვითეულ ძროხაზე საშუალოდ წელიწადში 3.000-მდე ლიტრი რძის მიღება, პირუტყვის სულადობის განუწყვეტელი ზრდის უზრუნველყოფა — ასეთი ვალდებულები იკისრეს თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხნის დამზმარე მეურნეობის მუშაკებმა, რაც გაეცნენ პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას.

— ეს დადგენილება,—განაცხადა აღნიშნული მეურნეობის დირექტორმა ამხ. გ. ბარამიძემ,—ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი უდიდეს დახმარებას გაუწევს მეცხოველეობის შემდგომ სწრაფ აღმავლობას, ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში პროდუქციის სიუხვის შექმნას. ჩვენი ამოცანაა ყველა შესაძლებლობა გამოვიყენოთ ფერმაში მაქსიმალური წველადობის უზრუნველყოფისა და პირუტყვის სულადობის ერთიორად გადიდებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ენერგიის დაუზოგავად უნდა ვიმუშაოთ.

კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს ფერმის ბრიგადირმა გ. დიღმელაშვილმა, ზოოტექნიკოსმა მ. კარაღოვამა, ვეტექიმმა კ. უფლისაშვილმა, მწველადამ ტ. გლადკიმ და სხვ.

გეგეჭკორელი კოლმეურნეები ოქუმსა და ახალსოფელში

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). ჩაისა და სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატთა და გამოცდილების გასაცნობად გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეთა წარმომადგენლები გაემზავრნენ გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. გეგეჭკორელები ვულდასმით გაეცნენ ოქუმელ კოლმეურნეთა მუშაობას სოფლის მეურნეობის დარგში. სტუმრებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს სტალინური პრემიის ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატმა ჩოქოლი ქვაჩახიამ, სოციალისტური შრომის გმირებმა ნიკოლოზ შამათავამ და ლარისა ბულისკირიამ, ლენინის ორდენოსანმა თეოდორე შამათავამ.

შემდეგ გეგეჭკორელი კოლმეურნეები ზუგდიდელებს ეწვივნენ. იქ დაათვალიერეს ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ენგურის ჭალაღლის კომბინატი და გაეცნენ ახალ სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მუშაობას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ქსენია სარსანიამ გეგეჭკორელ მეჩიე კოლმეურნეებს მოეთხრო თავის მუშაობაზე.

ამჟამად გეგეჭკორის რაიონის სოფელ აბედათის კოლმეურნეობა „შრომის სამეფოში“, ბანძის სტალინის, თამაკონის დიმიტროვის, სოფელ გაჭედილის სტალინის და გეგეჭკორის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში წარმოებს მოწინავეთა გამოცდილების ფართო პროპაგანდა.

ქორნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამერიკის შეერთებული შტატების მდგომარეობის შესახებ

პარიზი, 19 აპრილი. (საკ.დეს). „ლიბერასიონ“ გამოქვეყნეს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივნის გრონეკის სტატია სათაურით: „არა მსურს ამერიკაში ცხოვრება“.

ნიუ-იორკიდან გამგზავრების წინ გრონეკი ესაუბრა იუნაიტედ პრესის საგარეო კორესპონდენტს, რომელმაც გრონეკს კითხა, ხომ არა გსურს სამშობლოდ დარჩე ამერიკაშიო. გრონეკმა ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა.

ამერიკაში, წერს გრონეკი თავის სტატიაში, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გრანდსა არსებობისათვის შიშის გრძნობაა. ჩეხოსლოვაკიაში მთხოვრები არ არიან, ამერიკაში კი არიან, და რაც უფრო მეტი დრო გავა, ისინი მით უფრო მეტი ხქენდნენ. ავადმყოფობის დროს ამერიკელთა მხლოდ 20 პროცენტს შეეძლოა მიღების საექიმო დახმარება, დანარჩენებისათვის ავადმყოფობა ვალია და სიღატაკეს ნიშნავს. მესამედზე მეტი ამერიკელი მოქალაქეები დაზღვევით არ არიან მოხეცებულობისა და ინვალიდობის დროისათვის, და მილიონობით ამერიკელი იძულებულია თავის ღარიბელ ბიუჯეტს მოაკლოს სახსრები კერძო სადაზღვევო საზოგადოებაში ძვირფასებულ დაზღვევისათვის. ამერიკაში, როგორც სამართლიანად არის ნათქვამი მშვიდობის დაცვისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა კონგრესის რეზოლუციაში, ყველა ისტერიას შეუპყრია. ამერიკის მპრომელი წრეები ბრძოლას ეწევიან პროგრესსა და მშვიდობის წინააღმდეგ.

ირანის მთავრობისა და ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის მოლაპარაკება

ლონდონი, 19 აპრილი. (საკდეს). როგორც გაზეთი „ტაიმსი“ თეირანელი კორესპონდენტი-ლეწერს, ირანის მთავრობისა და ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის მოლაპარაკება გაგრძელდა მას შემდეგ, რაც კომპანიის წარმომადგენელი ჰეი 15 აპრილს თეირანს დაბრუნდა. კორესპონდენტი აგრეთვე წერს, რომ კომპანიის თავმჯდომარე ფრეზერი, როგორც ჩანს, მონაწილეობას მიიღებს მოლაპარაკების საბოლოო სტადიაში.

გაზეთი „ტაიმსის“ დიპლომატიური მიმოხილველი წერს: „კომპანიის წარმომადგენლის თეირანს დაბრუნების შემდეგ დაიწყო ინგლის-ირანის ნავთის კომპანიისა და ირანის მთავრობას შორის ნავთსარეწების დამუშავებისათვის საიჯარო ფასისა და კომპანიის მოგებაში მთავრობის წილის საკითხზე მოლაპარაკების გადაწყვეტი ფაზა“.

მიმომხილველი აღნიშნავს: ირანის მთავრობა „უმჯობესოდ იმით, რომ მისი წილი კომპანიის მოგებაში ინგლისის მთავრობის დივიდენდებია და კომპანიის მოგებაზე დადებული გადასახადისაგან მიღებული მისი შემოსავალი ნაბეჭდრზე გაკეთებით ნაკლებია“.

მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ირანში არიან უცხოელთა კოლეგიების მოწინააღმდეგენი, და არ ეჭვობს, რომ ირანის მთავრობა „დაუთმობს“. მიმომხილველი იმედს გამოთქვამს, რომ ირანის მთავრობა და ინგლის-ირანის ნავთის კომპანია „ეშოხრბებენ მოკლე ხნის განმავლობაში შეთანხმებას“.

მოკლე ცნობები

ჰოლანდიაში 120 ათასზე მეტი უმუშევარია. 200 ათასი ჰოლანდიელი ჯარისკაცი ინდონეზიაში საომარ ოპერაციებში რომ არ იყოს ჩაბმული, უმუშევართა რიცხვი 300 ათას კაცზე მეტი იქნებოდა, ე. ი. ამაზე მეტი, რაც ომისწინა კრიზისის დროს იყო.

* * *

პარლამენტის ლეიბორისტმა წევრმა იან მაკეოდმა წინადადება წამოაყენა, რომ „ინგლისის მოსახლეობამ ექვსი კვირის განმავლობაში ნებაყოფლობით შეიკავოს თავი ხორცის მიმარებისაგან მარაგის დაგროვების მიზნით“.

* * *

იაპონიაში ყველა სასურსათო საქონლის ფასები საშუალოდ 13,4 პროცენტით გაადიდეს.

* * *

ვაშინგტონში დამთავრდა ოთხი ყოველდღიური გაზეთის მბეჭდავთა სამი დღის გაფიცვა. მას შემდეგ, რაც მბეჭდავებს ხელფასი აკრიანი ექვსი დოლარით გაუდიდეს. (საკდეს).

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის წინ

პარიზი, 18 აპრილი. (საკდეს). საზღვარგარეთიდან საფრანგეთში ჩამოიყარა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე გამოგზავნილი პირველი დელეგატები. ჩამოვიდა ბულგარეთის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია 8 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ვიზეი მიიღეს (როგორც ცნობილია, სხვა 15 დელეგატს საფრანგეთის მთავრობამ ვიზეიის მიკემაზე უარი უთხრა).

ჩამოვიდნენ აგრეთვე კუბისა და პაიტის კულტურის მოღვაწეთა დელეგატები. დღეს კონგრესზე ჩამოიყარა დელეგაციები ამერიკის შეერთებულთა შტატებიდან და რუმინეთიდან. დღეს რომიდან პარიზს სპეციალური მატარებლით მოემგზავრება იტალიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია.

როგორც ცნობილი გახდა, ინდოეთის ახალგაზრდობის ორ დელეგატს, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ კონგრესში, ბომბეი-ში პასპორტები ჩამოართვეს.

კუბის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის შემადგენლობაში, რომლებიც პარიზს ჩამოვიდნენ, არიან სახალხო სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე მწერალი ხუან მარინელო — (დელეგაციის ხელმძღვანელი), პოეტი ნიკოლას გალიენე; ხოსეფა ვიდალრეტ დე მარინელო